

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Tanzi V. 1998. Corruption around the world. // IMF Staff Papers. – 1998. –Vol. 45, No. 4. – P. 227 k – I
2. Кейзерова Ю. В., Стеклов В. А. Коррупция в контексте глобализации <https://moluch.ru/archive/149/42227/>
3. Козонов Э. Ю., Жукаев А. 2006. Коррупция: истоки и пути преодоления. М.: МАКС Пресс, МГУ
4. Коуз Р. Фирма. Рынок и право. М.: Новое издательство, 2007. 279
5. Моисеев В. В., Ницевич В. Ф. Коррупция как глбальная проблема: история и современность. <https://cyberleninka.ru/article/n/korrupsiya-kak-globalnaya-problema-istoriya-i-sovremennost/viewer>

ვლადიმერ პაპავა  
მიხეილ ჭკუასელი

### სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის თავისებურებები COVID-19-ის პანდემიის პირობებში

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორის თავისებურებები COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ნაჩვენებია, რომ ამ კრიზისის პირობებში მთავრობათა მიერ გატარებული ანტიკრიზისული პროგრამები საბოლოო ჯამში ხელ უწყობს ეკონომიკის ზომბირებას, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარისთვის პრინციპულად მიუღებელია. პოსტპანდემიურ პერიოდში გამწვავდება დაპირისპირება სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარსა და სახელმწიფოს იმ ფუნქციას შორის, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს წარმართავს. ეკონომიკური წინსვლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად შეძლებს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, დაძლიოს სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პროცესების წარმართვის ინტერესები, რომლის მიზანიცაა ამომრჩეველთა მხარდაჭერის შენარჩუნება და გაზრდა.

*საკვანძო სიტყვები:* წარმოების ფაქტორები, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკის ზომბირება.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის არა შინაგანი შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი შემავსებელია. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ის ეკონომიკური ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რომელთა გადაჭრაც ბაზარს არ შეუძლია. მაშასადამე, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის აუცილებელი დანამატის როლში გამოდის.

სინამდვილეში სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული სახეობები ბაზრის შინაგან ნაწილს წარმოადგენს. კერძოდ, თუ ტრადიციული ეკონომიკის ჩარჩოში წარმოების მხოლოდ ოთხი ფაქტორი - მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი მოიაზრება, სინამდვილეში არსებობს წარმოების მეხუთე ფაქტორიც - სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის სახით; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ზემოხსენებული ტრადიციული ფაქტორების შემოსავალია, შესაბამისად, რენტა, ხელფასი, პროცენტი და მოგება, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის ფაქტორული შემოსავალი კი ბიზნესზე ირიბი გადასახადებია [Papava, 1993, 1994, 2017a]. წარმოების

ფაქტორებისადმი ამგვარი მიდგომა გაზიარებულია გამოყენებითი ეკონომიკის ბრიტანულ სახელმძღვანელოში [Griffiths, Wall, eds., 1995: 338, 1997: 358].

სიცხადისთვის აუცილებელია იმის გააზრება, ბიზნესზე ირიბი გადასახადების მოცემული ინტერპრეტაციისგან განსხვავებით, თუ რა ფუნქციონალური დატვირთვის მატარებელია პირდაპირი გადასახადები, რომელიც ასევე აიკრიფება სახელმწიფოს მიერ. ამკარაა, რომ პირდაპირი გადასახადები სხვა ფაქტორული შემოსავლების ნაწილია, მათ შემადგენლობაში შედის და მათგან მხოლოდ მას შემდგომ გამოიქვითება, რაც წარმოების მოცემული ფაქტორები კუთვნილ ფაქტორულ შემოსავალს მიიღებენ. სხვა სიტყვებით, პირდაპირი გადასახადები არის ფაქტორული შემოსავლებიდან სახელმწიფოსთვის გადახდილი თანხები, ხოლო ბიზნესზე ირიბი გადასახადები, სხვა ფაქტორულ შემოსავლების მსგავსად სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის უშუალო ფაქტორული შემოსავალია.

სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარის ფუნქციონალური დანიშნულებაა:

1. ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მეწარმეებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ თითოეულ სამეწარმეო უნარს, როგორც წარმოების ფაქტორს, შეეძლოს რაც შეიძლება ეფექტიანად გააერთიანოს წარმოების პროცესში ისეთი ფაქტორები, როგორცაა მიწა, შრომა და კაპიტალი;

2. შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ყველა ფირმის განვითარების სტრატეგიაზე პოზიტიურ ზეგავლენას იქონიებს;

3. ინოვაციური ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღოს მონეტარული პოლიტიკის და ფისკალური ინსტრუმენტების შემუშავებაში, სახელმწიფოს ინსტიტუციურ განახლებაში და სხვ.;

4. წინასწარ გაითვალისწინოს და თავის თავზე აიღოს ყველა ის შესაძლო რისკი, რაც შეიძლება შეექმნას ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

როცა ვსაუბრობთ სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარზე, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ის, როგორც წარმოების ფაქტორი, არ „უდრის“ მთელ სახელმწიფოს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გარდა, სახელმწიფოს ისეთი ფუნქციებიც აქვს, როგორცაა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობები, თავდაცვისუნარიანობა, პოლიტიკური პროცესების წარმართვა და სხვ.

აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ არ მოხდეს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის, დაპირისპირება სახელმწიფოს რომელიმე ფუნქციასთან ან ფუნქციებთან, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად გავამახვილებთ ყურადღებას.

აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, როგორც წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორი, COVID-19-ის პანდემიის და მისით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში (მაგალითად, [Baldwin, di Mauro, eds., 2020]).

უწინარეს ყოვლისა, ხაზგასასმელია, რომ COVID-19-ის პანდემიის და მისით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი თავისი ბუნებით ატიპური კრიზისია, რადგანაც ის არ ჩასახულა უშუალოდ ეკონომიკაში [Papava, 2020c]. სწორედ ამ სპეციფიკის გამო, ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს, რომელიც შეისწავლის კორონავირუსის გავრცელების ზეგავლენას ეკონომიკურ მოვლენებზე „კორონომიკსი“ დაერქვა [de Alwis, 2020]. შესაბამისად, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს მეტი სიცხადისთვის კორონომიკური კრიზისი შეიძლება ეწოდოს.

რადგანაც კორონომიკური კრიზისი არ არის ტიპური ეკონომიკური კრიზისი, ამიტომ მისი დასრულებისთვის საჭირო ეკონომიკური მექანიზმები უბრალოდ არ არსებობს. ეს ის შემთხვევაა, როცა ეკონომიკა მედიცინის მძევალია [Papava, 2020a].

მსოფლიო ისტორიაში ცნობილია მსგავსი ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც პანდემიით იყო გამოწვეული და რომელთაც საკმაოდ დიდი კვალი დატოვეს ეკონომიკაზე შესაბამისი პანდემიის დასრულების შემდეგაც (მაგალითად, [Roach, 2020]).

საინტერესოა მეოცე საუკუნის დასაწყისში „ესპანური გრიპის“ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამოცდილების განზოგადება [Bishop, 2020; De Santis, Van der Veken, 2020; Maas, 2020; Ullman, 2020], რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირობებში განსაკუთრებით საინტერესოა.

ამკარაა, რომ ამ ორი - „ესპანური გრიპის“ და COVID-19-ის პანდემიებით გამოწვეულ კრიზისებს შორის მსგავსება დიდია. კერძოდ, ორივესთვის დამახასიათებელია პანდემიის ტალღისებური ხასიათი, ფართო გავრცელება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და თითქმის ერთგვაროვანი ზემოქმედება ეკონომიკაზე, ანუ ეკონომიკური აქტიურობის შენელება, წარმოების მოცულობის და შემოსავლების შემცირება, ადამიანების მობილურობის შეზღუდვა.

იმავედროულად, ამ ორი პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისებს შორის განსხვავებაც მნიშვნელოვანია [Scheidel, 2020]. კერძოდ, „ესპანური გრიპის“ პანდემია დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დასრულების ფონზე, ანუ მაშინ როცა მსოფლიო ეკონომიკა ამ ომის გამო ისედაც იყო ეკონომიკურ კრიზისში. საყურადღებოა, რომ ამ ომმა ასევე შეუწყო ხელი „ესპანური გრიპის“ გავრცელებას. გასათვალისწინებელია, რომ ამ პანდემიის პირობებში ქვეყნებს შორის მობილურობა ძალიან მაღალი არ იყო და არც მიწოდება-მოთხოვნის ჯაჭვები გლობალურად იყო ასეთი მაღალი ხარისხის, როგორც თანამედროვე ეპოქაშია. ყოველივე ეს კი პრინციპულად განსხვავებულია COVID-19-ის პანდემიის შემთხვევაში.

პრაქტიკულად შეიძლება დავასკვნათ, რომ კორონომიკური კრიზისი თავისი ბუნებით უნიკალურია და ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რა როლის შესრულება უწევს წარმოების მეხუთე ფაქტორს ამ კრიზისის პირობებში.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მეწარმეებისთვის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი სამეწარმეო უნარის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება მიწის, შრომისა და კაპიტალის უკეთ გაერთიანებისთვის. ამასთან ერთად, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გადაწყვეტილებებმა ეროვნული ეკონომიკის ყველა ფორმის განვითარების სტრატეგიაზე პოზიტიური ზეგავლენა უნდა იქონიოს. იმავედროულად, სახელმწიფოს ეკონომიკურმა უნარმა თავის თავზე უნდა აიღოს ყველა ის შესაძლო რისკი, რომელიც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას ექმნება.

იმის გათვალისწინებით, რომ კორონომიკური კრიზისის დასრულება ეკონომიკური მეთოდებით შეუძლებელია (რადგანაც ამ კრიზისის დაძლევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მედიცინა დაამარცხებს კორონავირუსს), ამიტომ, კრიზისის განმავლობაში სახელმწიფო ახორციელებს ისეთ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და ბიზნესის მხარდაჭერა სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათებით, საბიუჯეტო სუბსიდიებით და ა.შ.

კორონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის უმთავრესი ფუნქციაა, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ხელი შეუწყოს ელექტრონული ბიზნესის განვითარებას, ხოლო, იქ, სადაც ეს პრინციპულად შეუძლებელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაეხმაროს „დაპაუზებულ“ სამეწარმეო უნარს, რათა გაურკვეველობით აღსავსე გარემოში ფირმებს მისცეს მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი სიგნალი სამომავლო, პოსტპანდემიური სტრატეგიის შემუშავებისათვის. აშკარაა, რომ პანდემიის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი ეროვნული ეკონომიკის პოსტკრიზისულ პერიოდში აღდგენა-განვითარებასთან მიმართებაში წარმოქმნილ რისკებს სრულად იღებს საკუთარ თავზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის მიერ პანდემიის გამო „დაპაუზებული“ ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა გადახდისუუნარო ფირმების გაკოტრების შესაძლებლობას სრულად აჩერებს. კორონომიკური კრიზისის დროს პრაქტიკულად შეუძლებელია და გაუმართლებელიცაა ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე გადახდისუნარიანობის პრობლემის მქონე ფირმების ჯანსაღი ფირმებისგან გამიჯვნა. ეს კი პოსტკრიზისულ პერიოდში არგაკოტრებული ფირმების ნაწილის ზომბირებას შეუწყობს ხელს [Papava, 2020b; Stiglitz, Rashid, 2020].

საყურადღებოა, რომ ზომბი ეკონომიკის „სამშობლო“ იაპონიაა, სადაც იაპონიის მთავრობა ფინანსური კრიზისის დროს ცდილობდა გადახდისუუნარო ფირმების ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ბაზარზე მათ შენარჩუნებას, რათა მორიგ საპარლამენტო არჩევნებში ამ ფირმებში მომუშავეთა მხარდაჭერა არ დაეკარგა (მაგალითად, [Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006]). 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს ეკონომიკის ზომბირების პროცესმა გლობალური ხასიათი შეიძინა [Harman, 2010; Onaran, 2012; Quiggin, 2010].

ეკონომიკის ზომბირება საკმაოდ „სიცოცხლისუნარიანი“ აღმოჩნდა, რაც იმით დასტურდება, რომ 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დასრულების შემდეგაც ეს პროცესი გლობალური მასშტაბით გაგრძელდა [Krugman, 2020].

ზომბირებული ეკონომიკისგან გათავისუფლება არის ეკონომიკის სიჯანსაღის შენარჩუნების ერთადერთი გზა, რაც მიიღწევა ზომბი-ფირმებისა და ზომბი-ბანკების გაკოტრების გზით ლიკვიდაციით [Papava, 2010]. ამისთვის კი აუცილებელია ქვეყნებს ჰქონდეთ გაკოტრების ქმედუნარიანი კანონმდებლობა.

საყურადღებოა, რომ გაკოტრების დღეისათვის აღიარებული მთავარი პრინციპის თანახმად აუცილებელია ბალანსის დაცვა, რომელმაც არა მარტო უნდა უზრუნველყოს კრედიტორების ინტერესების გატარება, არამედ თავიდან უნდა აიცილოს სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის შესაძლებლობა [Stiglitz, 2001: 3]. რადგანაც სიცოცხლისუნარიანობის დადგენის მექანიზმი სუბიექტური ხასიათისაა, ხოლო ამ ფირმების უკან ძლიერი ლობისტური ჯგუფები დგანან [Anderson, 2004: 199], ამიტომ მათი (ფირმების) ლიკვიდაცია გაკოტრების მექანიზმის გამოყენებით პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძოდ, ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები, როგორც წესი, მისი რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის სასარგებლოდ იხრება [White, 2001: 32].

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე ევროკავშირი გაკოტრების სფეროში ახალი რეფორმის დაწყების ინიციატივით გამოვიდა [Malakotipour, Perotti, de Weijs, 2020]. მისი ერთ-ერთი მიზანია, მეწარმეებს მიეცეთ „მეორე შანსი“ და პრევენციული რესტრუქტურიზაციის გზით მოხდეს ვალების გადაუხდელობის გამო მათი გაკოტრების მაქსიმუმ სამი წლით გადავადება [Wallace,

Pilkington, 2019]. სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, დიდი ალბათობით შესაძლოა ევროკავშირში ახალი რეგულაციის მიღების პროცესში გარკვეული კორექტივები შეიტანოს, რისი მიზანიც სავარაუდოდ იქნება გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის პროცესის კიდევ უფრო მეტად გართულება.

ამ დროს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, როგორც წარმოების ფაქტორი, წინაღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს პოლიტიკური პროცესების წარმართვის ფუნქციასთან. მორიგ საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თუ მუნიციპალურ არჩევნებში ამომრჩევლების მხარდაჭერის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით მთავრობა ვერ გაბედავს ფაქტობრივად გაკოტრებული და, შესაბამისად, სალიკვიდაციოდ განწირული ფირმების იურიდიულ ლიკვიდაციას. ის ამ ფირმებს გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს მათი რესტრუქტურისაციის რეჟიმში გადაყვანით, და, თუ საჭირო იქნება ამ რეჟიმის ვადის გახანგრძლივებაზეც არ იტყვის უარს.

მთავრობის ამგვარი ქცევა ადვილად აიხსნება საყოველთაოდ ცნობილი „საზოგადოებრივი არჩევანის“ თეორიის საფუძველზე, როცა მთავრობის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს არა იმდენად ეკონომიკური რაციონალიზმი, რამდენადაც პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავს [Buchanan, Tullock, 1962]. სწორედ ეს ხდება სახელმწიფოს მიერ არაეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების და გატარების უმთავრესი განმაპირობებელი მიზეზი [Papava, 2019].

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის არსიდან გამომდინარე, წარმოების ამ ფაქტორისთვის ბევრად უფრო ადეკვატურია გაკოტრების ხსენებული მთავარი პრინციპის ჩანაცვლება პრინციპით, რომლის თანახმადაც დაცული უნდა იყოს ბალანსი კრედიტორების ინტერესების გატარებასა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის [Papava, 2017b]. ევროპაში ჩამოყალიბებული ზემოხსენებული ტენდენციის გათვალისწინებით, რაც პრაქტიკულად მთელ მსოფლიოშია გაზიარებული, პოსტპანდემიურ პერიოდში გაკოტრების კანონმდებლობა ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ გადახდისუუნარო მეწარმეებს მაინც მიეცეთ „მეორე შანსი“. მაშასადამე, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარისთვის გაკოტრების უფრო ადეკვატური მთავარი პრინციპი დიდი ალბათობით ვერ იქნება რეალიზებული.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტპანდემიური პერიოდისთვის დამახასიათებელ ტენდენციებთან [Zakaria, 2020] ერთად, გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი გადაულახავი საფრთხე მისი ზომბირება იქნება.

დასკვნის სახით, აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიოს ეკონომიკის ბედი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეძლებს სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი დაძლიოს სახელმწიფოს იმ ფუნქციის წინააღმდეგობა, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესების წარმართვასთან, განსაკუთრებით, პოლიტიკური არჩევნების კონტექსტში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Ahearne A. G., Shinada N., 2005. “Zombie Firms and Economic Stagnation in Japan.” *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.
2. Anderson R. E., 2004. *Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries*. Washington, DC, CATO Institute.
3. Baldwin R., di Mauro B.W., eds., 2020. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, <[https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEgS1\\_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55F8x8](https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEgS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55F8x8)>.

4. Bishop J., 2020. “Economic Effects of the Spanish Flu.” *Reserve Bank of Australia*, June 18, <<https://www.rba.gov.au/publications/bulletin/2020/jun/economic-effects-of-the-spanish-flu.html>>.
5. Buchanan J. M., Tullock G., 1962. *The Calculus of Consent: Logical Foundations of Constitutional Democracy*. Ann Arbor, University of Michigan Press, <<http://www.econlib.org/library/Buchanan/buchCv3.html>>.
6. de Alwis A., 2020. “Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!” *Daily FT*, February 25, <<http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>>.
7. De Santis R., Van der Veken W., 2020. “Economic Expected Losses and Downside Risks Due to the Spanish Flu.” *VOX, CEPR Policy Portal*, November 11, <<https://voxeu.org/article/economic-expected-losses-and-downside-risks-due-spanish-flu>>.
8. Griffiths A., Wall S., eds., 1995. *Applied Economics. An Introductory Course*. Sixth edition. London, Longman.
9. Griffiths A., Wall S., eds., 1997. *Applied Economics. An Introductory Course*. Seventh edition. London, Longman.
10. Harman C., 2010. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books.
11. Hoshi T., 2006. “Economics of the Living Dead.” *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1.
12. Krugman P., 2020. *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York, W.W Norton & Company.
13. Malakotipour M., Perotti E., de Weijs R., 2020. “Unfair and Unstable: EU Bankruptcy Reform Requires More Scrutiny.” *VOX EU*, February 24, <<https://voxeu.org/article/eu-bankruptcy-reform-requires-more-scrutiny>>.
14. Maas S., 2020. “Social and Economic Impacts of the 1918 Influenza Epidemic.” *National Bureau of Economic Research*, No. 5, May, <<https://www.nber.org/digest/may20/social-and-economic-impacts-1918-influenza-epidemic>>.
15. Onaran Y., 2012. *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons.
16. Papava V., 1993. „A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP.“ *International Journal of Social Economics*, Vol. 20, No. 8.
17. Papava V., 1994. “The Role of the State in the Modern Economic System.” *Problems of Economic Transition*, Vol. 37, No. 5.
18. Papava V., 2010. “The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy.” *Problems of Economic Transition*, Vol. 53, No. 4.
19. Papava V., 2017a. “On Production Factors.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 11, No. 4.
20. Papava V., 2017b. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, Vol. 6, <<http://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>>.
21. Papava V., 2019. “On the Non-Economic Policy and the Post-Communist Experience of Georgia.” *European Journal of Economic Studies*, Vol. 8, Issue 2, <[http://ejournal2.com/journals\\_n/1573764064.pdf](http://ejournal2.com/journals_n/1573764064.pdf)>.
22. Papava V., 2020a. “Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine.” *Eurasia Review*, March 29, <<https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>>.
23. Papava V., 2020b. „Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy.“ *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 14, No. 3, No. 2.

24. Papava V., 2020c. "On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic." *Economics and Business*, No. 4.
25. Quiggin J., 2010. *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press.
26. Roach S. S., 2020. "The Pandemic's Long Economic Shadow." *Project Syndicate*, December 21, <<https://www.project-syndicate.org/commentary/pandemics-long-economic-shadow-by-stephen-s-roach-2020-12>>.
27. Scheidel W., 2020. "The Spanish Flu Didn't Wreck the Global Economy. What Is Different About the Coronavirus Pandemic?" *Foreign Affairs*, May 28, <<https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/2020-05-28/spanish-flu-didnt-wreck-global-economy>>.
28. Stiglitz J. E., 2001. "Bankruptcy Laws: Basic Economic Principles." In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Claessens S., Djankov S., Mody A., eds. Washington, D.C., The World Bank.
29. Stiglitz J. E., Rashid H., 2020. "Which Economic Stimulus Works?" *Project Syndicate*, June 8, <[https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=c41ee7287a-sunday\\_newsletter\\_14\\_06\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc\\_cid=c41ee7287a&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c41ee7287a-sunday_newsletter_14_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc_cid=c41ee7287a&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
30. Ullman H., 2020. "Economic Recovery from Coronavirus: Lessons from 1918-1923." *Atlantic Council*, May 1, <<https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/economic-recovery-from-coronavirus-lessons-from-1918-1923/>>.
31. Wallace I., Pilkington C., 2019. "Restructuring Across Europe – A New Era?" *White & Case*, January 25, <<https://www.whitecase.com/publications/alert/restructuring-across-europe-new-era>>.
32. White M. J., 2001. "Bankruptcy Procedures in Countries Undergoing Financial Crises." In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Ed. by S. Claessens, S. Djankov, Mody A. Washington, DC, The World Bank.
33. Zakaria F., 2020. *Ten Lessons for a Post-Pandemic World*. New York, W. W. Norton & Company.

*Vladimer Papava*  
*Mikheil Ckuaseli*

## **FEATURES OF THE ECONOMIC ABILITY OF A GOVERNMENT UNDER THE CONDITIONS OF THE COVID-19 PANDEMIC**

### **Summary**

The article discusses the characteristics of the economic ability of a government as an independent factor of production in the context of the economic crisis caused by the COVID-19 pandemic. It has been shown that the anti-crisis programs pursued by governments in the context of this crisis ultimately contribute to the zombie-ing of the economy which obviously is not a desired outcome for the economic ability of a government. In the post-pandemic period, the confrontation between the economic ability and the function of a government to conduct political processes will intensify. Of particular importance for economic progress will be the extent to which the economic ability of a government will be able to overcome its interests in conducting political processes aimed at maintaining and increasing voter support.

**Keywords:** *factors of production, economic ability of the government, pandemic of COVID-19, economic crisis, zombie-ing of the economy.*